ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4657827

ნომერი: AR1696299

თარიღი : 23.07.2019

გაცემის თარიღი : 05.09.2019

გაცნობის თარიღი : 05.09.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შარაშიძე პ/ნ 01008019603
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 25 ბ. 3

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 იანვრის №4319334 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 23 ივლისის №AR1696299 განაცხადით მომართა გიორგი შარაშიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 16 იანვრის №4319334 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 16 იანვრის №4319334 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ქუჩა გოძიაშვილი, N22; ქალაქი თბილისი, ქუჩა გოძიაშვილი, N24; ქალაქი თბილისი, ქუჩა გოძიაშვილი, N24, (ნაკვ. 20/25) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.10.10.020.179), მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 16 იანვრიდან 2020 წლის 10 იანვრის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს ,,ულტრა პლიუსი'' (211359493).

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 2019 წლის 16 იანვრის №4319334 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შპს ,,ულტრა პლიუსი''-ს (211359493) ნაცვლად შპს „გოძიაშვილი 22“-ის (405330128) დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადების რეგისტრაცია – №882019469470, მომზადების თარიღი: 14/06/2019 16:07:12) თანახმად, N01.10.10.020.179 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „გოძიაშვილი 22“-ის (405330128) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაცია - B19043616, მომზადების თარიღი: 16/04/2019 14:57:56), შპს „გოძიაშვილი 22“-ის (405330128) დირექტორს წარმოადგენს გიორგი შარაშიძე (პ/ნ: 01008019603).

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „გოძიაშვილი 22“-ის (405330128) საკუთრებას, რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „გოძიაშვილი 22“-ის (405330128) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57–ე დადგენილების თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 იანვრის №4319334 ბრძანებაში და დამკვეთად შპს ,,ულტრა პლიუსი''-ის (211359493) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „გოძიაშვილი 22“ (405330128).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 იანვრის №4319334 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 იანვრის №4319334 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.